სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N№/16-072

ქ. ბათუმი 01 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ შპს **,,სანდასუფთავება"** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ასამბაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს **,,ჯი-თი გრუპ"** (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი წარმოდგენილი მისი აჭარის რეგიონალური მენეჯერის გიორგი გოგიბერიძის სახით, საქართველოს მთავრობის, 2011 წლის 21 იანვრის, #26 დადგენილებისა და სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის კუთვნილი **ნაგავმზიდი სპეცმანქანა ფორდ–კარგო 2532–ისა და 1826–ის მარკის ავტომობილის (გამ. წელი 2012, ვინ–კოდი NM0N11TEDFCB89906, სახ. ნომერი BBQ-984 და ვინ–კოდი NM0K25TEDDAR78691, სახ ნომერი WWS-508) კომპიუტერული დიგნოსტიკის, შეკეთება და ტექნიკური მომსახურების** (შემდგომში–მომსახურება) გაწევა.

კლასიფიკატორი – **CPV 501000000**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **841** (რვაას ორმოცდაერთი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს დღგ–სა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან და თანმდევი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება–ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია შპს ,,სანდასუფთავების" დირექტორის მოადგილე.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება.

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურებისა და მოწოდებული საქონლის ხარისხსა და დროულობაზე.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2 % ოდენობით.

7.2 თუ პირგასამტეხლოს მთლიანი ჯამი გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 6 %–ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. გამოყენებული სამართალი

10.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

შემსყიდველი:
შპს ,,სანდასუფთავება"
მის: ქ. ბათუმი,
ჯავახიშვილის ქუჩა #55
ს/კოდი 245548153
სს ,,საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა GE57BG0000000524452400

შპს ,,სანდასუფთავება"
დირექტორი
დავით ასამბაძე

მიმწოდებელი:
შპს ,,ჯი–თი გრუპ"
მის: თბილისი
ჩოლოყაშვილი ქუჩა #48 ბ.
ს/კოდი 200119923
სს ,,საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა GE43BG0000000122211500

შპს ,,ჯი–თი გრუპ"
აჭარის რეგიონალური მენეჯერი
გიორგი გოგიბერიძე